5.2 სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო კვლევითი პროცესები		
5.2.2	**სასწავლო პროცესის ორგანიზება და ადმინისტრირება**	
№ დონე	**სრულყოფის დონეების აღწერილობა - ინდიკატორები**	
1	უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობა - სააუდიტორიო მეცადინეობების ცხრილი შემუშავებულია სასწავლო სემესტრის დაწყებამდე და განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. ხორციელდება სტუდენტებისა და პედაგოგების დასწრების მონიტორინგი; მონაცემთა ანალიზი არ ხორციელდება	1-2
2	სასწავლო ცხრილი განთავდებულია ვებ-გვერდზე. ანალიზდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრება. გამოიყვანება სარეიტინგო ქულა. შემუშავებულია კითხვარები სტუდენტთა გამოკითხვებისათვის, მაგრამ გამოკითხვები არ ტარდება.	3-4
3	შემუშავებულია კითხვარები და ხორციელდება სტუდენტთა გამოკითხვა შემთხვევის და მიხედვით. გამოკითხვის შედეგები ანალიზირდება და შემუშავდება ცალკეული რეკომენდაციები სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზების შემცირებისა და აღმოფხვრის მიზნით. რეკომენდაციები არ სრულდება.	5-6
4	ტარდება სამუშაოები სასწავლო პროცესის მართვაში თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიური გამოყენების დასანერგად, როგორც პერსონალთან, ისე სტუდენტებთან მიმართებაში, კომუნიკაციის ხარისხისა და ოპერატიულობის გაზრდის მიზნით და კომუნიკაციის უფრო მოქნილი სისტემის ჩამოყალიბებისთვის დაგეგმილია ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შექმნა. სტუდენტთა გამოკითხვას სტაბილური ხასიათი აქვს, გამოკითხვები ტარდება ელექტრონულად. გამოკითხვის შედეგები ანალიზირდება და გამოიცემა დასკვნა და რეკომენდაციები. რეკომენდაციები გათვალისწინებულია მართვის პროცესში.	7-8
5	დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა და სასწავლო პროცესის მართვა ხორციელდება ამ სისტემის საშუალებით. შექმნილია შესაბამისი ინფრაქსტრუქტურა ამ სისტემის ფუნქციონირებისთვის. გამოკითხვებს აქვთ სისტემური ხასიათი, დადგენილია დრო და პერიოდულობა, გამოკითხვა ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. გამოკითხვის შედეგები ანალიზირდება და შემუშავდება მკაცრი რეკომენდაციები სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზების შემცირებისა და აღმოფხვრის მიზნით. რეკომენდაციები დოკუმენტის ფორმითაა წარმოდგენილი. რეკომენდაციების გათვალისწინება ექვემდებარება კონტროლს.	9-10